ტფილისი

№ 160. ივლისის 25, ოთხშაბათი. 1866—1884 ივლისის 25, ოთხშაბათი. № 160.

„დროების“ რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაში; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—მ; მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—8 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 6 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე ... განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

**„დროების“ რედაქციისაგან**

დღეს, ივლისის 25-ს, სერგეი მესხის დასაფლავების წლის თავზედ, გადახდილ იქნება პანაშვიდი განსვენებულის მოსახსენებლად. „დროების“ რედაქცია სთხოვს განსვენებულის ნაცნობთა, მეგობართა და მის სახელის პატივის-მცემელთა მობძანდენ ამ პანაშვიდზედ ქალოუბნის ეკლესიაში, დილის 11 საათზედ. (3—3)

**არწრუნისეულ ქარვასლაში**

სასახლის ქუჩაზედ, იძლევა ქირით მაღაზიები, სადგურები კანტორებისა, სავაჭრო სახლებისა და საწყობებისათვის. პირობების შეტყობა შეიძლება ქარვასლის კანტორაში. (25—1)

## შინაური ქრონიკა.

— ჩვენ შევიტყეთ, რომ ამ ორ სამს დღეში გამოვა ერთი ნომერი გაზეთის «მოამბე»-სი. ამ გაზეთის გამოცემის უფლება შარშან ივლისს მიეცა ბ-ნს ნ. დ. ჟანაროვს და ეხლა ეს ერთი ნომერი იმიტომ გამოდის, რომ გამოცემის უფლება არ დაეკარგოს მას, რადგან წესია, რომ ვინც ნებას მიიღებს გაზეთის გამოცემისას და ერთის წლის განმავლობაში არც ერთს ნომერს არ გამოსცემს, მას ეკარგება უფლება და ხელ-მეორედ უნდა იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე გაზეთის გამოცემის უფლების მიღებისათვის.

— დღეს, დილის 11 საათზე, ქალოუბნის ეკლესიაში გადახდილ იქმნება პანაშვიდი „დროების“ რედაქციის მიერ განსვენებულის სერგეი სიმონის ძის მესხის მოსახსენებლად.

— მკითხველებმა იციან, რომ ნახევარი პრიკაზის ვალი ეპატიებათ თავად-აზნაურებს. არ ეპატიებათ ეს ვალი მხოლოდ პატრონებს იმ მამულებისას, რომელთაც ისინი პრიკაზში დაგირავების შემდეგ უყიდნიათ. ამ უკანასკნელთ მხოლოდ ის შეღავათი მიეცემათ, რომ შეუძლიანთ შეაჩერონ გაყიდვა თავიანთ მამულისა ერთის წლით, თუ წრევანდელ ნოემბრის ათამდე შეიტანენ ან მეათედს სრულის ვალისას, ან ნახევარს შესავსები გადასახადისას (ნედოიმკისას). აი სია იმ მამულის პატრონთა, რომელთაც ეს შეღავათი მიეცათ:

ა) გაბაშვილები, მემკვიდრენი აზნაურის იაკობ გაბაშვილისანი, ივანე და იოსებ იაკობის-ძენი. ბ) საგინაშვილი, გენერალ-ლეიტენანტი ალექსანდრე. გ) მემკვიდრენი დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის პლატონ იოსელიანისა: ჭილაშვილისა, ქვრივი ტაინი სოვეტნიკისა და ნაზაროვისა ელისაბედ. დ) ბაგრატიონ-მუხრანსკი, გენერალ-ლეიტენანტი ივანე კონსტანტინეს-ძე. ე) ზანდუკელი, აზნაური ოტია. ვ) ერისთავი პოლკოვნიკი თავადი კონსტანტინე მირიანას-ძე და ერისთავისა, გენერალ-მაიორის მეუღლე კნ. ეკატერინე ზაქარიას ასული. ზ) ერისთავი, გენერალ-მაიორი თავადი მიხეილ ბიძინასძე. ჱ) მემკვიდრენი გარდაცვალებულის თავადის დავით ამირაჯიბისა, მიხეილ დავითის-ძე, ალექსანდრე და ზაალ როსტომის-ძენი. თ) ერისთავი, თავ. კონსტანტინე. ი) პაიჭაძე აზნაური ივანე. ია) მამუჩაშვილი აზნ. მოსე. იბ) ვახვახოვები, თავ. გიორგი და ესტატე. იგ) მგალობლიშვილი, აზ. ბაატა. იდ) ავალიშვილი, აზნ. გიორგი. იე) მარჯანოვი, აზნ. ალექსანდრე. ივ) რუსიშვილი—ყორჩიბაშევი, თ. მიხეილი. იზ) მაყაშვილი თ. გიორგი. იჱ) მაჩაბელი თ. ვახტანგ. ით) ჩერქეზიშვილი, ძენი თ. მამუკასი. კ) ჭარუაშვილი პეტრე. კა) ჩხეიძე აზნ. დავით. კბ) მალიაევინი პავლე. კგ) მაყაშვილი, თ. ნიკოლოზ. კდ) გამყრელიძე, აზნ. მერაბი. კე) ნათიშვილი, კოლეჟსკი ასესორი იაგორ ეფრემის-ძე, კვ) ბაგრატიონ მუხრანსკები თავადნი ვახტანგ და ესტატე დავითის-ძენი, კზ) ბაგრატიონ მუხრანსკი, გენერალ-ლეიტენანტი ივანე კონსტანტინეს-ძე და კჱ) ყარალაშვილები, თავადნი მიხეილ კონსტანტინე და იასე ლუარსაბის-ძენი.

— «ახ. მიმოხილვაში» აწერილია შემდეგი ფაქტი: «კუკიის ხიდის ქვეშ ბანაობდა თურმე რამდენიმე კაცი. პოლიციელმა ზემოდგან დაუწყო ძახილი, რომ გამოსულიყვნენ წყლიდამ, მაგრამ ვერა გააგონა-რა. შემდეგ აიღო ერთი დიდი ქვა, დაუშვა და ერთ-ერთი მათგანი კი ძირ-ძირ წავიდა. საცოდავს ქვა მოხვედროდა და თავი გაეჩეხნა და თუ არ ამხანაგები, რომელთაც წყლიდამ ცოცხალ-მკვდარი გამოათრიეს, შიგ წყალშივე დაიღრჩობოდა. ბოლოს, როგორც იყო, მოსულიერდა, ჩაიცვა ტანთ და წაფარფატდა სახლში.“

— „კავკაზი“ ამბობს: ძლიერ სამწუხარო ამბავი შევიტყეთ ლონდონის სასტუმროს ბაღჩაში ფილოქსერის გაჩენის შესახებ. თურმე ხუთის წლის წინედ თბილისში ერთი ფრანცუზი ჰყიდდა ხილეულობას, ფერადს ბუჩქებს და ვაზებს, რომელნიც მას საფრანგეთიდამ გადმოჰქონდა იმ დროს, როცა იქ ფილოქსერა გავრცელებული იყო. «ლონდონის» ბაღჩისათვის ამ ფრანცუზისაგან უყიდნიათ ვაზი. ამბობენ მირზოევსაც თავისი ავჭალის ბაღისათვის ამისაგან უყიდნია ვაზები: ამის გამო საფილოქსერო პარტიას მირზოევის ავჭალის ზვრის ბეჯითად გამოკვლევა განუზრახავს. თუ მართლა ფილოქსერა აღმოჩნდა აქ, და ეს საეჭოც არაა, მაშინ ენერგიული ბრძოლა იქმნება საჭირო მის წინააღმდეგ და საშუალებაც მომეტებული დასჭირდებათ. ამას გარდა, შესაძლებელია სხვა მეპატრონეებსაც მოეპოებოდათ ზემოხსენებული ფრანცუზისაგან ვაზი. ძლიერ სასურველია, რომ ისინი არ გაყუჩდენ და ყურადღება მიაქციონ საფილოქსერო კომიტეტის მოწოდებას, რომ რავდენადაც შესაძლებელია, დროით გამოიკვლიონ მათი ზვრებიც. სამწუხაროდ მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ უცხო ვაზის შემოტანა ჩვენში აღკრძალული იყო გვიან, იმის შემდეგ, რაც საფრანგეთში უკვე გამოჩნდა ფილოქსერა.

— იგივე «კავკაზი» იწერება ავლაბრის მცხოვრების საჩივარს მის შესახებ, რომ თურმე საღამოს 9 საათიდამ თავ-ლია ბოჩკებით ეზიდებიან უწმიდურებას,—თუმცა-ღა კანონისა და ჩვეულების ძალით უწმიდურება უნდა გაჰქონდეთ თავდახურული ბოჩკებით 2 საათიდამ 4 საათამდის, როცა მცხოვრებთა სძინავთ, რომ საზარელმა სუნმა კაცი არ შეაწუხოს და უწმიდურებაც არ დაიღვაროს.

— «კავკაზს» შეუტყვია სათათრეთის გაზეთებიდგან, რომ ქალაქ ქერ-ბალაში, სადაც 15 ათასამდე მცხოვრებელია და აუარებელი მლოცველები მიდიან სპარსეთიდამ, უეცრად ჟამი გაჩენილა. ეს საქმე რუსეთს უფრო აწუხებს თურმე, რადგანაც მლოცველთა შორის რუსეთის ქვეშევრდომებიც არიან და, შესაძლებელია, ჟამი გამოჰყვეთ. ქერ-ბალაიში სალოცავად წასვლა ახლა აკრძალული აქვთ თათრებს.

— ნიუ-იორკის გაზეთებისაგან გაუგია „კავკაზს“, რომ ცნობილს ნიგილისტს გარტმანს, რომელიც ამ უკანასკნელ დროს ნიუ-იორკში სცხოვრობდა, თავი მოუკლავსო. ამის სინამდვილე ჯერ ცხადად არ სჩანსო, ამბობს გაზეთი.

— გაზ. „კასპიიში“ ვკითხულობთ: «დიდი ხანია მას აქეთ, რაც ასე ერთად არ შემოსულა საქონელი ნიჟეგოროდის იარმუკაზე (მაკარიაზე) წყლისა და რკინის გზებით. რადგანაც ყოველის მხრიდგან ერთბაშად და გაუხსნელად შემოაქვთ საქონლები მაკარიაში, შესაძლებელია, რომ 15 ივლისსავე, როცა სავაჭრო ბაირაღებს აღმართავენ, სავაჭრო საქონელი ნახევრობით გამოჰფინონ.

— იგივე გაზეთი გვაცნობებს, რომ სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ვალად დაუდგენია ადგილობრივის თვით-მმართველობისათვის ცნობების შეკრება თევზის ჭერისა და წარმოების შესახებ. ახლა ეგ საქმე ზედამხედველებსა აქვთ მინდობილი და, როგორც გავიგეთ, ზოგ მათგანს საჭირო ცნობები და განაჩენებიც სოფლის საზოგადოებათა, რომელნიც დათანხმებულან სათევზეთა აღებაზე, უკვე წარუდგენიათო, ამბობს გაზეთი.

— «კასპიიში»-ვე ვკითხულობთ ბ. ერიცოვის მოსაზრებას კლაჩკოს წინააღმდეგ, რომელიც ამტკიცებდა, რომ ხოლერა ნავთიან ადგილებს არ ეკარებაო. ბატ. ერიცოვს მოჰყავს სტატისტიკური ცნობანი, საიდამაც ცხადადა სჩანს, რომ ქ. ბაქოში და მთელს ბაქოს მაზრაში, როცა კი სწვევია ხოლერა, ყოველთვის მრავალი ხალხი ამოჟლეტილა. ხოლერას ნავთიანი ადგილებისა კი არა, თვით ნავთისა ეშინია, როცა მას წამლად ახმარებენ ავადმყოფს ექიმებიო; საკვირველია, რომ ევროპის ექიმებს ეს საშუალება ახლა გაუგიათ და ადგილობრივი ექიმები 1846-სა და 1847 წლებშიაც კი ხმარობდენ ნავთს ხოლერის წინააღმდეგო, ამბობს ბატონი ერიცოვი.

— გაზ. «ყარსი» გვაცნობებს, რომ სოფლებს ჭარავანსა და ტოდანში ის პურის ჭია გაჩენილა, რომელსაც რუსეთის შიდა გუბერნიების მცხოვრებლები დიდი ხანია ებრძვიან. ახლა ეს ჭია თბილისში გამოუგზავნიათ, რომ შეამოწმონ მცოდნე პირებმა, ნამდვილად რუსეთის ჭიაა, თუ არა.

— უკანასკნელ დროს რუსულმა გაზეთებმა დიდი ყურადღება მიაქციეს ჩვენს სასულიერო საქმეებს და დიდის გულმოდგინებითაც ადევნებენ თვალყურს ამ საქმეების მიმდინარეობას. მოსკოვის გაზეთს «Современныя

Извѣстія»-ში (№ 171. ივნისის 25, 1884) იყო დაბეჭდილი კორესპონდენცია ამ საგნის შესახებ, რომელმაც გამოიწვია ერცელი მოწინავე წერილი მეორე სერიოზულ რუსულ გაზეთში «Церковно-Общественный Вѣстникъ» № 82, ივლისის 13 1884).

## წერილები რედაქტორთან.

### I

ბ. რედაქტორო!

მთხოვთ, თქვენს გაზეთში მისცეთ ადგილი ამ მცირე შენიშვნას.

განსაცვიფრებელია ის თავ-აწყვეტილი საქციელი ზოგიერთი პირებისა, რომელსაც თითქმის ყოველ ნაბიჯზედ შეხვდებით!... აღარც სირცხვილი, აღარც მორიდება, აღარც პატივისცემა!... მათთვის განურჩევლად შეურაცხყოფილი ხდება მოხუცი თუ ყმაწვილი. ქალი თუ კაცი.

აი თუნდა აიღეთ ამ თვის 20-ს მომხდარი საქმე, საღამოს 5-ს საათზე შუა ქალაქში, საზოგადო ბაღის წინ, როდესაც მთელი ქვეყანა გარედ იყო და მოწმად დაესწრო.

საქმე ის არის, რომ საქალაქო ბაღის პირდაპირ არის გამართული რძის გასასყიდი დუქანი, სადაც საზოგადოება ამ სიცხეებში ცივის რძით წყურვილს იკლავს.

ეს დუქანი უჭირავს ერთს სინიდისიანს, დაცოლშვილიანებულს იმერელს.

ხუთს საათს, საღამოს, ცოლი ამ დუქნის პატრონისა გამოვიდა ქუჩაში კარებთან და ფანჯრების ხურვა დაიწყო. გამოჩნდენ ქუჩაში კაკარდა მიკრულის ქუდებით სამი კაცი, საკმაოდ შექეიფიანებულები.

ნამეტნავად ერთს მათგანს ეტყობოდა, რომ ოცს მიღებულის ჯამაგირისთვის საკმაოდ გაეკრა რუსული წყვლა და სიცხისაგან ისეც გახურებულისთვის, არაჟს სრულიად გონება დაებნია.

ეს ბატონი, დაინახა თუ არა ფანჯრებთან მდგომი დედა-კაცი, გამოქანდა გადაეხვია და კოცნა დაუწყო. რა ლაპარაკი უნდა, რომ შეურაცხყოფილს საკმაოდ უნდა შეშინებოდა და ყვირილი დაიწყო.

იქვე მყოფი პოლიციელი ბლიახა № 63 უძრავად იდგა და ამ საზიზღარს სურათს ღიმილით უყურებდა.

ყვირილმა მიაღწია იქავ მეზობლად სტამბის მქონე ბ. ხელაძეს, რომელმაც დაიხსნა უბედური ქალი გამხეცებულის კაცის ხელიდგან.

პოლიციელმა აქ საჭიროდ დაინახა კაკარდიანს გამოსარჩლებოდა, თუმცა შველა და გამოსარჩლება სრულიად სხვას ეჭირებოდა.

ამისთანა სურათები შუა ქალაქში და დღისით, როდესაც მთელი ქვეყანა მოწმად ესწრება!..

კაკარდიანი აღმოჩნდა აქციზის ჩინოვნიკი ხ—მოვი!

შეურაცხყოფილი ქალის ქმარი რომ მოსწრებიყო და ბ. ხ—მოვი ზედვე ადგილზედ გაეცემინა, იტყოდენ: „კავკასიელნი ველური, ხალხია, კაცებს ქუჩებში ხოცვენო“ და სხვა!

თუ ჩინოვნიკები თავიანთ თავს ამ გვარი გარყვნილების ნებას აძლევენ, ნეტა ვიცოდე, სხვა „უფრო გაუნათლებელს ხალხს რაღა უნდა დაეძრახებოდეს!

შემთხვევით მაყურებელი.

### II

ბ. რედაქტორო!

საქმეზე ჭეშმარიტების ნათლის მოსაფენად და იმ გაუგებრობის გამოსარკვევად, რომელიც, უთუოდ, გამოწვეული იქნება თქვენი გაზეთის პატივცემულ მკითხველთა შორის «დროების» 153 №-ში დაბეჭდილის შენიშნვისაგან ქილილა და დამნის გამოცემის გამო, საჭიროდ ვსთვლი მოგახსენოთ შემდეგი:

ეს გამოცემა იბეჭდება პატივცემულის თავადის ბრ. დ. გურიელისა და ექვ. ი. ხელაძის ხარჯით. რედაქცია და კორრექტურა გამოცემისა მონდობილი მაქვს მე, ქვემორე ხელის მომწერელს. საბეჭდს დედანს ვათანხმებ და ვამოწმებ კიდევ სხვა სამს ჩინებულს ხელთ-ნაწერს ექზემპლიარებს ამ კლასსიკურის თხზულების კლასსიკურისავე თარგმანისას, რომელიც ეკუთვნის, როგორც მოგეხსენებათ თქვენ და თქვენს მკითხველებსაც, მეფე ვახტანგ მე VI-ს და სულხან-საბა ორბელიანის კალამს *).

ჩემს შრომას გულითად ყურადღებას აპყრობს და გულ-მოდგინედ ჰკითხულობს ამ გამოცემას საკორრექტურო ფურცელშივე იმისთანა ავტორიტეტი ჩვენის ისტორიისა და ისტორიული ლიტერატურისა, როგორიც არის ბ. დ. ზ. ბაქრაძე, რომელიც, მასთანავე, ვრცელს წინასიტყვაობასაც ამზადებს ამ გამოცემისათვის.

დავშთები თქვენი პატივმცემელი

ილია ჭყონია.

ივლისის. 20 1884 წ.

ქ. თბილისი.

## ხოლერა ევროპაში.

უკანასკნელი ტელეგრამები ტულონიდამ და მარსელიდამ გვატყობინებენ, რომ ხოლერა საკმაოდ შემცირებულა ამ ქალაქებში. ამის მიზეზი ერთის მხრით ის არის, რომ ჰავა შეიცვალა საკმაოდ და ჰაერში მეტი სიგრილე დატრიალდა, ხოლო მეორეს მხრით ამ ქალაქებიდამ ბევრი ხალხი გავიდა და გაიხიზნა სხვა-და-სხვა ადგილებში. ეპიდემიის შემცირების მიზეზად სთვლიან აგრეთვე იმ გარემოებასაც, რომ მარსელში მშვენიერი მუქთი სასადილოები დამართეს და სამუშაოსა და ლუკმა პურს მოკლებულს მუშა ხალხს უსასყიდლოდ ურიგებდენ კარგს წვენსა და ხორცს და რომს წყლითა. აგრეთვე ქალაქის გასუფთავებისთვის არავითარი ღონე და საშუალებანი არ დაუზოგნიათ.

ახლანდელმა ეპიდემიამ პროვანსში (სამხრეთ საფრანგეთის ერთი თემთაგანია) ისეთი შიში და მორიდება დაჰბადა, როგორიც არც ერთხელ არა ყოფილა წინანდელ უფრო დიდ ხოლერობის დროს. ერთი გაზეთი Iustice ამბობს, რომ იმ შიშს, რომელიც მარსელში სუფევს, მხოლოდ თავის თვალით მნახველი წარმოიდგენსო. ზოგიერთნი მარტო შიშით იხოცებიან, შემთხვევაც კი იყო თავის მოკვლისა შიშისა გამო, რომ ხოლერით არ გავხდე ავადაო. ხოლო უბრალო ხალხს ისე არაფრისა არ ეშინიან, როგორც იმისი, რომ საავადმყოფოში არ წაგვიყვანონო. ხშირად ხდება, რომ მუშა კაცი, შეამჩნევს თუ არა რომ ხოლერით ავად ხდება, ჰკეტავს კარებს, ბარიკადებს აკეთებს, არავის უშვებს სახლში და კვდება ყოველივე დახმარებისა და მიშველების გარეშე მარტო იმ შიშის გამო, რომ მოვლენ და საავადმყოფოში წამიყვანენო. იტალიაში ხომ საშინლად ეშინიანთ. ეს შიში არა მცირეა აგრეთვე ვენასა და ბერლინში. გამოჩენილნი ექიმნი და მთავრობაც ყოველის ღონისძიებით სცდილობენ დაამშვიდონ ხალხი და შეშფოთებული საზოგადოება. პროფესორმა დროამემ დაბეჭდა ახალი წერილი, რომელშიაც ამტკიცებს, რომ ეპიდემია ჩქარა მოისპობა თვით სამხრეთ საფრანგეთშიო, ხოლო ბერლინში ქალაქის გამგეობა აცხადებს, რომ თუმცა მდ. შპრეს ნაპირებზე ხოლერის სტუმრობა ძალიან საეჭვოა, მაგრამ მაინც ყოველგვარი ღონე მიღებულია და ქალაქის გასუფთავება და გასაღიარება სისწრაფითა და სიჩქარით სწარმოებსო („ნოიე ფრეიე“).

## წლიური ანგარიში.

სოფ. წინამძღვრიანთ კარის სასოფლო მეურნეობის სკოლისა $18^{83}/_{84}$ წლისა.

(დასასრული *)

სკოლის პედაგოგიურის კრების წარმოება.

საგნები განხილვისა და განჩინება.

რამდენი ყმაწვილი მიიღო სკოლამ 1883 წელსა? ოცდა-ათი.

რამდენი ხანი გაგრძელდეს თვითო გაკვეთილი? $^3/_4$ საათისა.

შეიძლება, თუ არა, 10—12 წლის ყმაწვილების მუშაობა ფერმაში და სახელოსნოში, ე. ი. ამ ხნის ბავშვების მუშაობა ხომ არა-ვითარ ვნებას არ მისცემს იმათს ჯან-მრთელობას?

თუ მართლა ამ ხნის ყმაწვილების მუშაობა არ მოუტანს ყრმათ არა ვითარ ვნებას, მაშინ რომელი ნაწილი მეურნეობისა, ანუ ხელოსნობისა შეისწავლონ იმათ ჯეროვნად?

რამდენი ხანი უნდა გაგრძელდეს ყმაწვილების მუშაობა ფერმაზედ და სახელოსნოში?

ამ სამი კითხვის ახსნა კრებამ მიანდო სკოლის მზრუნველს, რომელსაც სთხოვეს მოიწვიოს ქალაქში მცოდნე პირნი და მოისმინოს იმათი ჩვენება.

სკოლის მზრუნველმა მოსთხოვა გამოჩენილ მცოდნე პირთ ამ საგნებზედ აზრი. ზოგიერთთა გამოსთქვეს, რომ მარტო თორმეტი წლის ბავშვს შეუძლიან მუშაობა ფერმაზედ და სახელოსნოში და იმათი მუშაობა არ უნდა გაგრძელდეს უმეტეს სამი საათისა; თოთხმეტი წლის ყმაწვილს შეუძლიან ხანგრძლივი მუშაობა ხუთი საათი. ყმაწვილმა უნდა დაიწყოს მუშაობა საადვილო სამუშაოდგან და შემდეგში გადავიდეს მძიმე სამუშაოზედ.

რა რიგად მიეცეს ავადმყოფთ შეგირდთ შემწეობა? სკოლის კრებამ მიანდო თავის თავმჯდომარეს სკოლის მზრუნველს იშუამავლოს თბილისის აფთიაქრებთან მიიღონ მონაწილეობა სკოლის აფთიექის დაარსებაში და უძღვნან წამლები. მზრუნველის თხოვნაზედ მთელს ქალაქში გამოუცხადეს თანაგრძნობა და მისცეს რაიმე შემწეობა წამლებით მარტო ორმა აფთიექარმა ბბ. ა. წურინოვმა და ზამლინსკიმ.

რომ მოსწავლეთ ჰქონდეთ დაახლოვებითი კავშირი ურთი-ერთ-შორის სწავლის კეთილ წარმოებაში, თავმჯდომარემ კრებისამ შეიტანა წინადადება: თავისუფალი მასწავლებლები რიგ-რიგობით დაესწრონ მეორე მასწავლებლის გაკვეთილზედ და იქონიონ ყურადღება შეგირდებზედ? კრებამ მიიღო ეს წინადადება წევრთა უმრავლესობით.

რამდენი ხნით უნდა იყვნენ შეგირდები საშობაოდ დათხოვნილნი? ოცდაორ დეკემბრიდამ 1883 წ. შვიდ იანვრამდე 1884 წ.

როგორ მოექცნენ იმ შაგირდს, რომელიც თავის დროზედ არ დაიარება სკოლაში, ანუ ცელქობს? ა) ის შაგირდი, რომელიც დაიგვიანებს, შემდეგ სწავლისა დარჩეს კლასში ერთი მეოთხედი საათი; და ბ) ცელქი შაგირდი დაისვას გაცალკევებით.

თავმჯდომარემ შეიტანა გასახილველად კრებისა წესდება, შედგენილი სახელმძღვანელოდ ფერმის მწარმოებელისა—ფერმერისა. კრებამ მიიღო სახელმძღვანელო წესდება.

შენიშვნა: კრებამ გადასწყვიტა გამოუცხადოს გულითადი მადლობა ყველას, ვინც-კი სკოლას დაეხმარა და მისცა შემწეობა ნივთით და ფულით, აგრეთვე ჟურნალ-გაზეთების რედაქტორებს: «ივერიისას», «ნობათისას», «დროებისას» და «კავკაზი-

---

*) შრომა მეფის ვახტანგისა არის და ლექსები ს.—ს. ორბელიანისა.

პეტ.

*) იხილე „დროება“ № 160.

სას», რომელთაც უძღვნეს სკოლას თავიანთი გამოცემანი.

წევრნი სკოლის კრებისა: თავმჯ. ი. წინამძღვრიშვილი, მღვდელი. გ. ასათიანი, მასწავ. ი. ხატიშვილი, ქერმერი ს. გურჯენიძე.

# ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის სააგენტოსი“)

ივლისის 24

**პეტერბურგი.** „ნოვოე ვრემია“ გვატყობინებს, რომ ფინანსთა სამინისტროს ახალი განკარგულების ძალით, ბლომად დარჩენილი გადასახადი, შეუტანელი ხაზინებში და საკრედიტო დაწესებულებაში არ დააბრკოლებსო სესხის გაცემას, ხოლო ვექსილებით უკეთუ მსესხებელნი სესხის მიღებისათანავე დარჩენილ გადასახადს შეიტანენ.

**პარიჟი.** პრინცმა ნაპოლეონმა გამოსცა მანიფესტი, რომელშიაც კონგრესის შეკრების წინააღმდეგ ლაპარაკობს და ითხოვს, რომ მოწოდებულ იქმნას წესთ მდებელი კრება.

**ვერსალი.** გუშინ ნაშუადღევის პირველ საათზე გაიხსნა კონგრესი.

**რომი.** ოფიციალურად იწერებიან აგვისტოს ორიდამ სამამდე (ივლისის 20—21) რომ აქ ხოლერით ერთი გახდა ავად, ვილაფრანკში — ხუთი, რომელთაგან ორი მოკვდა, გენუის ახლოს სამი და კინიერალში, ტურინის ახლოს თცდა-ოთხი. ამ უკანასკნელ ქალაქში ხოლერით ავად ხდებიან მომეტებულ ნაწილად საფრანგეთიდამ მოსულები; ავადმყოფობას საზოგადოდ ადვილად ხდილობენ.

**ვერსალი.** კონგრესში წარდგენილი პროექტი კონსტიტუციის გადასინჯვისა გარდაცემულ იქმნა კომმისიას, შემდგარს 33 წევრისაგან.

## დროების ფოსტა.

ბბ. ქ. გ—ნს და ა. წ—ძეს. თქვენმა პოლემიკამ მეტად შეაწუხა „დროების“ მკითხველები და ამიტომ იძულებული ვართ შევწყვიტოთ.

ქ—ქ—ისს ჯ—ძეს. თქვენი წერილი ჯერ ისევ დროსა და დარს უცდის და იმიტომ ვერ იბეჭდება აქამომდე.

ქ. თ—ავს, თ—კ—ელს. თქვენი გრძელი წერილი ვერ დაიბეჭდება, რადგან მრავალ-სიტყვაობასთან ერთად მალიან მცირე შინაარსს შეიცავს.

ვ—ძეს. თქვენი ლექსი სუსტია და ამიტომ არ დაიბეჭდება.

თ. ხ—ძეს. რედაქციამ ვერა სცნო შესაძლებლად იმ გვარის წერილის დაბეჭდვა, როგორიც თქვენი.

ი. ტ—ს. „უბრალო გატანჯული“ დიდი ხანია, რაც გადავათვალიერეთ, მაგრამ ვერ დაიბეჭდება.

ტ. გ—მეს. თქვენ მეტად ფილოსოფოსობთ, ცრუ და უხეირო თეორეტიკულ მსჯელობას გვწყოლიხართ და ფაქტებს კი მცირედ გვატყობინებთ. ჩვენ ფაქტები უფრო გვინდა კორესპონდენტებისაგან, ვიდრე ურომელო მსჯელობანი ან სხვა-და-სხვა ფანტაზიები.

ქ. გ—რს. გ—სს. თქვენს წერილებს დავბეჭდავთ, იმის გარდა, რომელიც მკითხავს შეეხება. ფაქტები შეგვატყობინეთ ხოლმე.

# განცხადებანი

სამკურნალოში, რომელიც თბილისის მოქალაქეთ დაარსეს სახსოვრად 4 აპრილისა 1866 წლისა, ავად-მყოფნი მიიღებიან დილის 8 საათიდამ 12 საათამდინ.

ყოველ დღე მიიღებენ ამ სამკურნალოში ავად-მყოფებს შემდეგი ექიმები: ტერ-გრიგორიანცი—8 საათიდამ 9 საათამდინ. სნებით, საქალებო და საბავშვო ავადმყოფობის საწამლებლად; ადამიანცი— 9-დამ 10-საათამდე შინაგან და ნერვულ ავადმყოფობათა საწამლებლად; ბენკლევსკი—10—11 საათამდე.—საქირურგო, სასიფილისო ავადმყოფობის წამლობისათვის და აგრეთვე კბილისა და ყურის ტკივილის საწამლებლად; შტემბორსკი 11—12 საათამდე სიფილისისა და სხეულზე გამოყრილი მუწუკების წამლობისათვის. ამას გარდა: გარალევიჩი ორშაბათობით 9—10 საათამდე შინაგან ავადმყოფობის წამლობისათვის; კორონა ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის 10—11 საათამდე; მინკევიჩი სამშაბათობით და პარასკევობით 9—10 საათამდე ქირურგიული ავადმყოფობისათვის; ხამჩინსკი სამშაბათობით და შაბათობით 11—12 საათამდე თვალის ტკივილის საწამლებლად; კრასნოგლიადოვი ორშაბათობით და პარასკევობით 10—11 საათამდე შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის; ვოლოქსონი კბილის ტკივილის საწამლებლად მიიღებს თავის სახლში ყოველთვის ღარიბ ავადმყოფებს, რომელთაც სამკურნალოდამ ბარათი ექმნებათ.

გამოვიდა და ისყიდება:

**განკიცხული**

მოთხრობა

ა. მ. მოწხუბარიძისა (ყაზბეგისა)

ფასი ათი შაური.

თბილისში, «დროების» რედაქციაში და ხაქ. ჭიჭინაძის მაღაზიაში.
ქუთაისში, ჭილაძის მაღაზიაში.
თელავში. ბ. როსტომაშვილთან.
ფოთში. ბ. ხუმარაძის მაღაზიაში.

ახლად გაიხსნა თბილისში
მეხანიკური ქარხანა
სახელწოდებით
„ს ო ფ ლ ი ს მ ე უ რ ნ ე“

არსენალის აღმართზედ, სასწორის პირ-და-პირ, ინტენდანტსტვოს გვერდზედ, სახლის № 5, თავ. ალექსანდრე იაკობის-ძე ერისთავისა.

ქარხანა მიიღებს ყოველგვარ სამეხანიკო სამუშაოს სხვა-და-სხვა მოწყობილობითურთ, სტალიარისას, სლესარისას და სპილენძის საკავშიროებს, წყლის გასაყვან მილებისას ბოსტნების მოსარწყავად, ფონტანებისას, როგორც ბაღებში ისე ქალაქის სახლებში, ხოლო უფრო სოფლებში. ქარხანა მიიღებს ყოველ გვარ სამუშაოს ბბ-თ მიწათ-მოქმედთა და სოფლის მეურნეთა სოფლის მეურნეობისა და საჭიროებათა შესახებსა. ყველა სამუშაო საუკეთესო ოსტატებისაგან იქმნება გაკეთებული თავდებობით რამდენსამე ხანს. მეურნეთა მოთხოვნილებათა-მებრ გაეგზავნებიან დაუყონებლივ ოსტატები შემოკვეთილის სამუშაოს გასაკეთებლად. ყველა ნივთსა და იარაღს, რომელიც არ გამოდგება, ქარხანა უკან მიიღებს და ფულს დაუბრუნებს მსყიდველს, ან სხვაზე შეუცვლის სურვილისამებრ. ქარხანაში არის გასასყიდად ჩვენგან გაკეთებული და გაუმჯობესებული მოწყობილობა (აპარატი) წიწილთ საჩეკად ხელოვნურის წესით, უკრუხოდ. სია აპარატებისა და ჩემ-მიერ მომზადებულის ნივთებისა და აგრეთვე დარიგება წიწილთ-საჩეკის მოხმარებისათვის გაეგზავნება მსურველს მუქთად. ქარხანაში მიიღება აგრეთვე შეკვეთა წყლის წისქვილის გასაკეთებლად. უმორჩილესად ვსთხოვთ ქალაქის გარეშე შემკვეთელთ თავიანთი ადრესი გარკვევით დაწერონ. ქარხნის კანტორა ღიაა მუდამ დღე 8 საათიდამ 2 საათამდე და 5—8-მდე საღამოობით, კვირა, უქმე-დღის გარდა.

ქარხანა მალე მიიღებს საშენებელს იარაღებს, ხოლო მიღებამდე საუკეთესო მალაზიებიდამ იყიდის და გაუგზავნის თავის მუშტარს.

(10—5)

ვუცხადებ ბოლის მაზრის საზოგადოებას რომ მე მოვიტანე ქ. ბოლოში ვარშავიდან პოლსაპოშები სხვა-და-სხვა ნაირი: კაცისა, ქალისა და პატარა ყმაწვილებისა და ვყიდი უწინდელზედ დაშორებით ნაკლებ ფასებად.

(6—4) ივანე ბარამოვი.

**ინდოეთის შლაპები** თითო 3 მანათად. ბომაზეა 90 კ.—1 მან. არშინი, გლიცერინის საპონი გირვანქა 40 კ. მედალიონები ქაფურით ქუნთრუშის ასაცილებლად, კარბოლის პაპიროსი გადამღები ავადმყოფობის ასაცილებლად—20 კაპ. ალმასის პარაშოკი ყოველ გვარი მეტალის საწმენდად 15 კაპ.—$^1/_2$ გირვ.; ქაღალდი ვატერკლოზეტისათვის 500 ფურცელი 50 კაპ. 3000 არშინი ამერიკის კლიონკა სხვა-და-სხვა [illegible] 50 კაპ.—2 მან. არშინი, —1200 ინგლისური რკინის კრაოტები, —ვაჟიკაცისა 7 მანათიდამ, ბავშვებისა 4 მანათიდამ. (6—4)

**ინგლისური რკინის პრაოტები**



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათიღეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-ით უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, საშაქრე, ჩაის და სტოლის კოვზები ჩანგლებით, ფადნოსი, დასადგმელი, პირისსაბანი, სტაქნები, სუფოკნივი, საწყაო, სვები, რიუმკები, გრაფინკები, საქაშური თეფშები, ბლუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძევეები, სამარილეები, გარჩიცის სათქვეები, უნაგირები კაცისა და ქალისა; აღვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბაღო მაკრატლები, კაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, პიკები, ზარიადები, კაპსიულები, ხათვანგები, ნიჩბები, ვატერპრუფი, საბნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიტიკონები და სხვ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156-157, 158, 159, და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—32)

მოწყობილობა

**წიწილების გამოსაჩეკავად.**

| | | |
|---|---|---|
| ორმოცი კვერცხის გამოსაჩეკად გაგზავნით. . . | 23 | მან. |
| გაუგზავ. | 22 | „ |
| ასისათვის „ | 35 | „ |
| ასზე მომეტებულისათვის თითო ასზე. . . . | 5 | „ |
| 600-მდე, ხოლო 600-ზე მეტი თუ იქნება ასზე. | 10 | „ |

გამგზავნისათვის 3 მან. ფუთზე რუსეთის ყველა ქალაქებში, კავკასიაში კი 1 მან. 50 კაპ.

ასის კვერცხისათვის მოწყობილობა იწონის 2 ფუთს.

**იქვე.**

იქვე მომზადებულია ახალის მოწყობილობის ცინკის ვანნები, ძალიან ადვილი გადასატან-გადმოსატანი, რადგანარა ფუჭდება და 20 წელიწადი შეუძლიან გასძლოს; თავდებობით ვყიდი ძალიან იაფად, ადრესი: მეხანიკური ქარხანა სახელწოდებით „სოფლის მეურნე“, არსენალის აღმართთან სასწორის პირ-და-პირ, ინტენდანტსტვოს გვერდზე, სახ. № 5.

თ. ალექსანდრე იაკობის-ძე ერისთავი.
(10—7)

მიიღება ამ 1884 წ. ხელის-მოწერა. ხელის-მომწერელს ყველა გამოსული ნომრები გაეგზავნება

საყოველთაო ყრმათა საკითხავი სურათებიანი ჟურნალი

# „ნობათი“

პედაგოგიური ნაწილის დამატებით.

მთელი წლის გამოცემა ჟურნალი „ნობათი“-სა შეიცავს 12 წიგნს.

ყრმათა საკითხავ წიგნში იბეჭდება: ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, სურათები ხალხის ცხოვრებიდამ; ბიოგრაფიული მოთხრობები, მოგზაურობა, ეპიზოდიური მოთხრობები ისტორიიდამ, ამბები გეოგრაფიიდამ და ბუნების მეცნიერებიდამ; იგავები, ანდაზები, გამოცანები, შაირები, არითმეტიკული გამოცანები; სათამაშოები, რებუსები, სიმღერები ნოტებით და სხვ.

დამატებაში—მშობელთა და აღმზრდელთათვის—იბეჭდება: პედაგოგიური სტატიები მშობელთა და აღმზრდელთათვის შესახებ ყმაწვილების აღზრდისა და სწავლისა (პირველ-დაწყებითი), კრიტიკული და ბიბლიოგრაფიული სტატიები პედაგოგიური თხზულებისას, პედაგოგიური ქრონიკა ჩვენი და უცხოეთის ცხოვრებიდამ, ნარევი, «ნობათი»-ს ფოსტა. განცხადებანი.

ჟურნალი «ნობათი» ქაღალდს გარეშე გაგზავნით და ქაღალდში დარიგებით წლიწადში ღირს ოთხი მანეთი, ცალკე ნომერი ათი შაური.

მარტო ნახევარ წლის ხელის-მოწერა არ მიიღება.

ხელის-მოწერა მიიღება: თბილისში—ჟურნალი «ნობათი»-ს რედაქციაში, ალექსანდროვის ბაღთან, ხაზინის გვერდით, თუმანიშვილის სახლ. № 7 და მეგრელოვის წიგნის საგენტოში. ქუთაისში—ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გორში—ექ. ფურცელაძისას. თელავში—ი. ვ. როსტომაშვილთან.

ფოსტის ადრესი: *Тифлисъ, въ редакцію грузинскаго педагогическаго журнала «Нобати».*

რედაქტორი-გამომცემელი ა. ს. დულაძე.

(3—2)

გამოვიდა

ცალკე წიგნად

**სამგვარი სიყვარული**

მოთხრობა

აკაკი წერეთლისა

(„დროების“ რედაქციის გამოცემა.)

ფასი 30 კაპ.

(ვინც ოც გგზემპლიარზედ მეტს იყიდის ერთბაშად, 10% დაეთმობა.)

წიგნი ისყიდება **თბილისში** გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში, შავერდოვის სააგენტოში და ჩარკვიანის მაღაზიაში. **ქუთაისში** ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. ბათუმში, მოსე ნათაძესთან, თელავში, საზოგადოების დეპოში. ერთბაშად ყიდვა შეიძლება აგრეთვე «დროების» რედაქციაშიაც.

(10—9)

## ბიბლიოგრაფიული განცხადება

**კონა** პირველ-დაწყებითი მოთხრობებისა ბუნების მეცნიერებიდგან, შედგენილი იაკობ გოგებაშვილისა, მეორე გამოცემა, შევსებული და შემკული სურათებით. ფასი ათი შაური. ვინც ერთად იყიდის ოცსა ან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა 42 კაპეიკად.

**დედანი ქართული წერისა**, სასწავლებლებში სახმარებელი, შედგენილი მისივე, მთლად ამოითხარა ქვაზედ, იბეჭდება უკანასკნელი თაბახი და მზად იქმნება გასასყიდად პირველის აგვისტოსათვის. დედანი იპყრობს: სახატავებს, ხელის სავარჯიშოებს, ქართული ასოების, ნაწილებს, მრგვალს ხელს, ორასზედ მეტი სურათით,—მრგვალი ხელი თავში მოთავსებულია ბადეში, შემდეგ აქვს მწოლარე ხაზს შუა, ოთხს ხაზს შუა, ორს ხაზს შუა, ერთს ხაზზედ და ბოლოს უხაზოდ,—ეს პირველი განყოფილება თავდება წვრილი მრგვალი და მუქლა ხელით. შემდეგ არის დაბეჭდილი ნუსხური ჯერ გადაუბმელად, მერმე გადაბმით—მომსხო და წვრილი ხელი. ბოლოში არის დამატება, რომელიც იპყრობს თორმეტს ნიმუშს სხვა-და-სხვა ძველი საუკეთესო ნაწერებიდგან გადმოღებული ხელისას. ამას გარდა დედნის დასასრულში ჩართული იქნება ვრცელი დარიგება მასწავლებელთათვის. ფასი ექვსი შაური. სკოლებს და მაღაზიებს დედანი დაეთმობათ ხუთ შაურად, როცა იყიდიან ერთად ოცს ან მეტს ცალსა.

საწყობი—გრიქუროვის მაღაზია, ქუკიის ხიდის ყურთან.

(10—4)

გაიცემა ქირით ექსპლუატაციისთვის

## ორი ცყის დაჩა

**ამიერ კავკაზიის მხარეში:**

ერთი,—1500 დეს. რკინის გზაზე, მეორე—1300 დეს. მდ. მტკვართან

პირობების შეტყობა შეიძლება:

**თბილისში**—ჟურნალი «იურიდიჩესკოე ობოზრენიეს» ადმინისტრაციაში,

**ქუთაისში**—დაფიცებული ვექილის თანა-შემწესთან თ. ანტონ ნიკ. ლორთქიფანიძესთან.

(10—7)

შენახვა ჩრჩილისა და ბუზანკალისაგან.

**ნაფტალინი** (კაფური) **ჩრჩილის გამწყობი** წყალი, სპარსული და დალმატიური პარაშოკი, გუტპერჩის ტომრები ბეწვეულობის და შალის ტანისამოსის შესანახავად. პომადა მეტალთა დასაფერავად, საუკეთესო ფრანცუზული ვაქსა, გლიანც-სახამებელი, ლილა და სხვანი საოჯახო ნივთეულობანი ისყიდებიან თბილისში, საფეთიაქო საქონლების სავაჭრო კავკასიის ამხანაგობაში.

(70—27)

ინგლისის მაღაზიაში,

თმის-ამომყვანი მაკ-მასტერი



ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

(100—48)

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან., სნოტგები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

### მაზანდა

ფორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 ივლისიდამ 1 აგვისტომდე 1884 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსთის ფქვილისა— | —1 | გირ. | 5 კ. |
| ახალურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| მეორისა— | —1 | გ. | 2 კ. |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი: | | | |
| პირველი ხარისხის | —1 | გ. | $4^1/_2$ |
| მეორისა— | —1 | გ. | 3 კ. |
| მესამისა— | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| ჯვარის-მამი პური: | | | |
| პირველი ხარის. ლავაში | 1 | გ. | $4^1/_2$ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | $3^1/_2$ |
| მესამისა — | —1 | გ. | 3 კ. |
| ძროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | 8 კ. |
| მეორისა— | —1 | გ. | 7 კ. |
| სუკი . . . | —1 | გ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 8 კ. |
| ღორის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | — კ. |
| მეორისა— | —1 | გ. | — კ. |

### რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით

თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილით.
(სამშაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. ღამ.)

ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.

ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილით.

ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილით.

ფოთიდამ დ ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამით.

მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის
8 საათზედ დილით

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.
(პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

*Доз. ценз. Тифлисъ, 24 Іюля 1884 г.* სტამბა არ. ქალანდაძისა და ამხ. გამომც. გ. ქართველიშვილი. რედ. ი. მაჩაბელი.